№ 92. 5 მაისი, სამშაბათი. 1866—1881 5 მაისი, სამშაბათი. № 92.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ... ... ასოზე ... კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულ და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე: თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (ხილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმები

ქუთაისი, 3 მაისს. დღეს მესამე დღეა, რაც კრებას ბანკის ხარჯის თაობაზედ აქვს მსჯელობა. კრებამ გარდაწყვიტა ზედამხედველ კომიტეტისაგან შედგენილ ხარჯის პროექტის პირველი მუხლის მიღება; სახელდობრ იმ მუხლისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ გამგეობის წევრთ ისევ ძველი ჯამაგირი დარჩესთო; ამ საგნის შესახებ კენჭის-ყრის დროს სამას-ორმოც-და-ექვსი თეთრი კენჭი იყო ძველი ჯამაგირების ხელ-უხლებლად დარჩენაზედ; ას-სამოც-და-ათი ხმა კი თხოულობდა, რომ ბანკის გამგეობის წევრთ ჯამაგირი შეუმცირდეს.

პეტერბურღი, 2 მარტს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გაზეთს „პორიადოკს“ ერთის თვით აღეკრძალა განცხადებების ბეჭდვა.

პარიჟი, 1 მაისს. თუნისის ბეიმ საფრანგეთთან მორიგების პირობა მოაწერა.

პეტერბურღი, 2 მაისს. „რუსის ინვალიდში“ სწერენ, ტყუილიაო, ვითომც მთავრობას ჯარების მუნდირის შეცვლის განზრახვა აქვსო.

პეტერბურღი, 2 მაისს დღეს სადამოს მერვე საათის ნახევარზე გარდაიცვალა პრინცი პეტრე გიორგის-ძე ოლდენბურგსკი.

### ქუთაისის ბანკის კრება

1 მაისი, სხდომა მეორე

მეორე დღეა კრებისა. ამ სხდომაზედ უნდა „განიხილონ“ ანგარიში.

ჩვეულებრივად, მეკენჭენი ჯგუფ-ჯგუფად არიან დაყოფილი. თითო ჯგუფს თითო მჭევრ-მეტყველი ჰყავს...

მეგრელთ მეთაური თ. ზახვა ფალავა „მძიმე სიჩუმით, რაღაცა ზრახვით“ დარბაზის შუა ზის. მეგრელებიც მას შესცქერიან, ხმას არ იღებენ და მზად არიან ერთის მისის ხელის-დაქნევით გადასწყვიტონ თავიანთი სიმრავლით ყოველი საგნის ბედი...

იმერლები შეჰნატრიან მეგრელების „ერთობას“; მართლაც ესენი თითქმის ყოველის საგნის შესახებ რამდენიმე დასებად იყოფიან. მათ არა აქვთ ერთი აზრი, არა ჰყავთ ერთი მოთავე, როგორც პირველთა. მაგრამ გასაცდელი თუ მიადგათ, მათი ბელადობა შერჩებათ. მერაბ ლორთქიფანიძეს, რომელმაც შარშან კ. ლ—ძის აზრის წინააღმდეგ ორმოცი ათასი მანეთი შეაწირვინა საზოგადოებას უნივერსიტეტისათვის. ამ „საგანსაცდელო შემთხვევისათვის“ ბელადს ცხარე ბაასი აქვს ბ-ნ დ. ბაქრაძესთან ბანკის მმართველობის შემცირების თაობაზედ. მცირე ჯგუფი დაიმალნენ და მათ უგდებენ ყურსა...

თორმეტის საათის ნახევარია, მაგრამ სხდომა ჯერ კიდევ არ გახსნილა: ახალ ჩამოსულ დამფუძნებელთ უმატებენ სიებში.

მშვენიერ სქესისათვის მიჩენილს ადგილზედ ჯერ-ჯერობით ოცის მეტი არ არიან: ესენი კენჭების „შავში“ და „თეთრში“ ჩაგდების დღეს ელოდებიან, რომ მაშინ თავიანთ თვალთა ანდამატებრივის ძალით მიიზიდონ მეკენჭენი ან ერთის ან მეორის მხრით...

პირველს საათზე სხდომა იხსნება. 247 მეკენჭეა.

თავს-მჯდომარე საზოგადოების წევრთ სთხოვს, რომ წესიერებით მოიქცნენ.

დაიწყო ლაპარაკი შარშანდელ ანგარიშზე.

ბ-ნი ან. ჯაფარიძე ყოველისფრით იწონებს ანგარიშს.

ივანე მესხი აცხადებს, რომ სასურველია ბანკს გამოეცხადებინა, თუ რამდენად იყიდება წრეულსაც გირაოს ფურცლები. გარდა ამისა, მიმდინარე ანგარიშის ფულები რატომ შეუნახავს ბანკს თფილისის „საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში“ და არა ქუთაისისაში? კიდევ,—რას ნიშნავს ანგარიშის მე-XXXII მუხლში მოხსენებული ხარჯი „მოწყობისა და მოთავსებისათვის“?

გამგეობის თავს-მჯდომარე ნ. დოლაბარიძე. გირაოს ფურცლები ამ ჟამად 89—90$^7/_8$%-ებად იყიდება და იმედია კიდევ უფრო აიწიოს მათი ფასი. „თფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში“ ბანკი იმიტომ ინახავს თავის მიმდინარე ანგარიშებს, რომ იქ უფრო მეტს სარგებელს იძლევიან, ვიდრე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება. მე-XXXII მუხლში მოხსენებული ფულები დაიხარჯა ბანკის ახალი სადგომის მოწყობისა და მოთავსებისათვის.

ადგა კ. ლორთქიფანიძე. დარბაზს მოეფინა სამარის დუმილი... თითქმის ნახევარი საათი პატივცემულ მჭევრმეტყველმა ილაპარაკა იმაზედ, რომ ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მოქმედებაზე, აგრეთვე მათგან შედგენილ ანგარიშზე—ვერავინ ვიტყვით, რომ ყალბი იყოს; მაგრამ, რადგანაც უნაკლულო ქვეყანაზე არაფერია, ამიტომ უნდა ვეცადოთ ამ ნაკლულევანების გამოაშკარავებას და შემდეგისთვის აცილებას... შემდეგ გადავიდა ამ ნაკლულევანებათა გამორკვევაზე და შესანიშნავის უხვ-სიტყვაობით და მოკაზმულ პერიოდებში მოქცეულ ალნაქსებით დაეძგერა ბანკის ანგარიშის მე-XXII მუხლსა. ის 13,113 მან. და 8 კაპეიკი,—სთქვა მან—რომელიც მოგებად არის ნაჩვენები, უკანონო მოგებაა. ბანკს დიდ-ხანს ჰქონდა გაჩერებული გირაოს ფურცლები, რომელთაც 6% ასარგებლებდა და, თუმცა ეს სარგებლები რიგით მესესხებლებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მათთვის კაცს არ მიუცია. მაშინ, როდესაც, ეს გირაოს ფურცლები დროზედ გაესაღებიათ, მართალია, მოგება 13,113 მან. და 8 კაპეიკით ნაკლები იქნებოდა, მაგრამ მაგიერად მესესხებლები არ დაიჩაგრებოდენ. ახლა კი, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს 13,113 მან. და 8 კ. არის ტყავი მსესხებლე-

---

«დროების» ფელტონი, 5 მაისი.

### უბედური სიყვარული*)

ნამდვილი ამბავი

(ნათარგმნი)

2 ღვინობისთვეს მარი ბიერის სახლში შემოისმა ყმაწვილის ჩხავილი. დედას გაუჩნდა თაყვანის საცემლათ ქალი...

ამას მოელოდა წინ ჯერ ბევრი უბედურება. რობერტმა უბრძანა ყმაწვილი მიებარებინათ გარეთ უბანს ძიძისთვის. დედას მოაშორეს თავის შვილი....

ბევრი ამაზე უარესი მწარე დღეებიც ნახა... მაგრამ ყოველი ტანჯვა მარი ბიერისა ავათ-მყოფობის გამო, ყოველი შეწუხება, რომ შანტიენი ვლახასავით აძლევდა ამას თვეში ათ თუმანს, ეხლა ისე არაფრად ეჩვენებოდა, როგორც იმ კაცის საშინელი უგულობა: მამას არ უნდოდა თავის შვილის ნახვა... საწყალი მარი ბიერი, როგორც მოწყალებას, სთხოვდა შანტიენს, რომ იმას ერთი თვალი მოეკრა თავის შვილისთვის, ეხვეწებოდა წასულიყო ძიძასთან ყმაწვილის სანახავად; მაგრამ შანტიენს ერიდებოდა, ქვეყანამ არ შეიტყოსო. როცა ყმაწვილი შინ მოჰგვარეს, ახალგაზდა დედა სთხოვდა შანტიენს, რომ ერთი მაინც შეეხედა, თუ როგორ ჰგავს ყმაწვილი იმას. მაგრამ მამამ არ ალირსა, ერთხელაც არ გადახედა თავის შვილს. ბოლოს გამწარებულმა დედამ ველარ მოითმინა და შესძახა:

— გესმის, რობერტ, შენი სიცოცხლე დამოკიდებულია ამ ბავშზე: იცოდე, თუ ეგ მოკვდა, შენც მოკვდები!

რობერტ შანტიენი მაინც გაქვავებული დარჩა.

* * *

ამ დროს დედას მოუვიდა გარეთუბნიდამ საშინელი ამბავი: ყმაწვილი ავათ გახდაო. ჯერ თავზარ-დაცემული დედა გონზე არ მოსულიყო, რომ მეორე ამბავიც მოუტანეს: ყმაწვილი მოკვდაო. საწყალი დედა ნაღველმა აიტაცა. იმისი კვნესა და ტირილი არა თუ მთლათ სახლში, ქუჩაშიაც კი ისმოდა.

შანტიენი კი რასა სჩადიოდა? იმას ძალიან უხაროდა შვილის სიკვდილი და საწყალ დედას დაუკარგა ყველა იმედები...

ამ დღიდამ იწყება ამ ქალის გულის წვა და დაგვა.

* * *

ძნელი გასაგებია ქალის გული; ზოგჯერ სიყვარული და სიძულვილი, შურის-გება და შებრალება ქალის გულში ერთად ტრიალებენ ხოლმე.

ყმაწვილის სიკვდილის შემდეგ შანტიენი და მარი კიდევ შეერთდნენ. მარი ბიერი შემდეგი სიტყვებით იმართლებს თავს:

„— მე მინდოდა მეორედ დედათ გავმხდარიყავ, იქნება დედობრივ გრძნობას მიეცა ჩემ სიცოცხლისთვის რამე მნიშვნელობა და შევერიგებოდი კიდეც იმ საძაგელთან“.

ამ ოდ ჩაიარა იმის იმედმა: შანტიენი არა ჰფარავდა თავის სრულიად გულ-გრილობას, მარი ბიერი სწერს თავის „დღიურში“ შემდეგს:

„თუმცა ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ იმას აღარ უყვარვარ. თავი უნდა მოვიკლა...“

სამ მკათათვემდის დრო როგორც იყო გავიდა. ამ დროს კი შანტიენმა პირ-და-პირ გამოუცხადა — გავშორ-

*) „დროება“, № 91.

ბისა ბანკისაგან უსამართლოდ ახდილი. (ამ მკვახე სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში. ზოგი იწონებს, ზოგი იწუნებს. ხმაურობა. თავსმჯდომარე ძლივს აწყნარებს ხალხს). რაც შეეხება იმას, რომ ბანკის გამგეობა აცხადებს გირაოს ფურცლები კარგად და ბლომად გაესაღეთო, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ბანკის გამგეობა არაფერს-შუაშია. ეს ფურცლები გაასაღეს თვით მსესხებლებმა.

ნ. დოდაბერიძე. თქმა ყველაფრის შეიძლება, მაგრამ ნათქვამსაც საფუძველი უნდა... ის ცამეტი ათასი ასცამეტი მან. და რვა კაპეიკი, რომელსაც პატივცემული კ. ლ—ძე, წევრი ჩვენი ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და დირექტორი ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა „მსესხებლების ახდილ ტყავად“ სთვლის, —ეს ფულები არის ყოვლად-კანონიერი პროცენტები იმ ავანსად მიცემულ ფულებისა, რომელნიც მსესხებლებს ეძლევოდათ. რაც შეეხება იმას, ვითომც გირაოს ფურცლები მსესხებლებს გაესაღებინოსთ და არა ბანკს—ესეც უსაფუძვლოთ თქმულია... მაკვირვებს კ. ლ—ძისაგან ასე უსაფუძვლოთ ლაპარაკი...

დ. ნ. ბაქრაძე უკმაყოფილებას აცხადებს გირავოს ფურცლების დროზედ გაუყიდველობაზედ. წინედ, როცა ბანკს უფრო ცოტა გირავოს ფურცლები ჰქონდა, მაშინ უფრო უნდა გაეყიდა, რადგანც მოთხოვნილება გირავოს ფურცლებისა იმ დროსაც საკმაოდ იყო. ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც მოთხოვნილება და მიწოდება თანაბარნი არიან, მაშინ მიწოდებას უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე იმ ჟამს, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას. მაგალითად: ვთქვათ, ქუთაისს ეჭირვება ათასი ბათმანი ლომი და ათასი ჩაფი ღვინო...

(უმრავლესობა საზოგადოებისა ყვირილით ჰფარავს ბაქრაძის ხმას:—უზღაპროდ თუ შეიძლებაო! თავსმჯდომარე ზარის ხანგრძლივის რაკუნის შემდეგ აშოშმანებს საზოგადოებას.)

დ. ბაქრაძე: თუ გირავოს ფურცელთა გაუყიდველობის მიზეზად იმას იტყვიან, რომ პეტერბურღში სავაჭრო სახლი, რომელთანაც ბანკს საქმე ეჭირა ტომსონ, ბონარ და ამხ. ძაბუნად იქცეოდა, ბანკის მმართველობის მოვალეობა იყო დროზედ გამოეცვალა იგი.

ნ. დოდაბერიძე. წინედ თუ გირავოს ფურცლები იმდენი და იმდენად ვერ გავყიდეთ, როგორც სასურველი იყო, ამას შემაწყნარებელი მიზეზები აქვს. უწინდელი გამგეობისაგან ამორჩეული ტომსონ, ბონარ და ამხ. სავაჭრო სახლი, რომელთანაც საქმე გვეჭირა წინედ, ინგლისური სავაჭრო სახლია, ის იმდენად არ ერთობა პეტერბურღის ბირჟით. ამის გამო გირავოს ფურცელთა გაყიდვის საქმე ისე კარგად ვერ მიდიოდა. ახალი გამგეობა შეუდგა ახალი სავაჭრო სახლის ძებნას და კიდეც მონახა ღირსეული სახლი, რომელსაც საქმე კარგად მიჰყავს. თუ იმას ბძანებთ, რომ ტომსონ, ბონარი და ამხ. უფრო მალე უნდა გამოგვეცვალა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამის ასრულება ასე ადვილი არ გახლდათ. საჭირო იყო სხვა სახლების გაცნობა საფუძვლიანად და მერე ერთი უკეთესთაგანის ამორჩევა. ჩვენც ასე მოვიქეცით. ამ რიგსავე მდგომარეობაში იყო და ასეც მოიქცა წრეულს, ჩვენთან ერთ დროს ტფილისის აზნაურთა ბანკიც.

მ. დარახველიძე. ზოგიერთს ეაქბატონებს განუზრახავთ, როგორც ეტყობათ, მაინცა-და-მაინც აღმოაჩინონ ის უწესოება, რომელნიც არ ჰსუფევენ ჩვენის ბანკის საქმეებში. ზვაყრუებენ მხოლოდ იმისთანა სპეციალურს საგანზედ ცარიელი ბაასით, როგორიც არის ბანკის მოქმედების განხილვა. რაც შეეხება კ. ლორთქიფანიძეს, ამას მადლობას ვუძღვნით, რომ შეძლების-და-გვარად ცდილობს ბანკის მმართველობის მოქმედებათა ნაკლულევანების ჩვენებას. მაგრამ კიდევ უფრო მადლიერნი ვიქნებოდით, რომ ეს შენიშვნები თავის დროზედ თვით ბანკის მმართველობისათვის ეცნობებინა. მე ვკითხავ ბანკის გამგეობას: მიუცია ეს შენიშვნები მმართველობისათვის აქამდე ზედამხედველი კამიტეტის წევრს კირილე ლორთქიფანიძეს, თუ არა? დ. ნ. ბაქრაძის შესახებ კი უნდა ვთქვა, რომ თუ იმას გული შესტკიოდა საზოგადო საქმისათვის, ე. ი., ამ შემთხვევაში ბანკის საქმის გაუმჯობესობისათვის, და სურდა მისი კეთილმდგომარეობა და წარმატება — რად მიატოვა ზედამხედველი კომიტეტის წევრობა ამ სამიოდე წლის წინად?

კ. ლორთქიფანიძე. ნ. მიხ. დარახველიძე წერილობითი საბუთებსა მთხოვს. ამისთანა საბუთებს მე ვერ წარმოვადგენ და ისე კი პირადად, ნაცნობობით ესვე მითქვამს ბანკის მმართველობის წევრებისათვის, თუმცა შეიძლება ესეც ვერ დავამტკიცო, რადგანც მოწმეები არ დამისწრია.

ხმები საზოგადოებიდამ: ბატონო, ჩვენ სულ ამ ლაპარაკებს მოვუნდებით, თუ ასე იბაასეთ!

— აცალეთ მაგ კაცებს თქვენ რაც აქვთ სათქმელი!

— რას ამბობ, მაგათ მის-დღეში არ გამოელევათ სალაპარაკო!

— კითხვა დადგინდეს: ვამტკიცებთ ანგარიშს თუ არა, და კენჭით გასწორდეს საქმე!

— რა დროის კენჭია, ჯერ საქმე არ გაგვიგია!

— ვისაც რამე ესმის, იმას დიდი ხანია გაგებული აქვს და ვისაც არა, ის ერთ წელიწადსაც ვერ გაიგებს! კენჭი!!

— არა, არა!!

ათიოდე წამით ხმაურობის შემდეგ თავს-მჯდომარემ დაადგინა კითხვა: დამტკიცდეს ბანკის წასრული წლის ანგარიში თუ არა. ორიოდე „არას“ მეტი არ ისმოდა, „დამტკიცდეს“ იძახოდენ.

ანგარიში დამტკიცებულად გამოცხადდა.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ახალ ხარჯთა-აღრიცხვა (სმეტა), რომლის გამო კიდევ უფრო ბევრი ბაასი, ყვირილი და მუქარა დაიხარჯა. ეს ახალი ხარჯითა-აღრიცხვა 2000 მანეთით აღემატებოდა შარშანდელს. ზედამხედველ კომიტეტის უმრავლესობამ წარმოადგინა თავისი აზრი, რომ ბანკში მოსამსახურეთა მოესპოსთ ის სარგებელი (%), რომელიც დღემდის მათ ეძლევათ ბანკის მოგებიდამ.

საზოგადოებიდამ ნაწყვეტ-ნაწყვეტებად მოისმის:—„არ შეიძლება ჯამაგირის ან სარგებლის მოსპობა, არა!“

— მუქთად ვინ იმსახურებს!

— დარჩეს ისევ ჯამაგირები სარგებლიანად; კარგს ადგილს კარგი ჯამაგირი შეჰფერის. რაც უფრო ბევრს ჯამაგირს მისცემთ, უფრო კარგს კაცს ვიშოვნით. ეხლა რომ რამე მოუკლოთ, ეს ახლანდელ მოსამსახურეების შეურაცხყოფა იქნება! და სხვ.

აკაკი წერეთელი. აქ წარმოითქვა აზრი, რომ რაც უფრო ბევრ ჯამაგირს მივსცემთ, უფრო კარგს კაცს ვიშოვნითო. ეს ტყუილია. ეხლანდელს დრო, ჩვენში კარგი კაცი ფულით არ მოისყიდება და მათი დასაჩუქრება შეუძლებელია ფულით, ჩვენი სილარიბის გამო. ქართველის გული ზღვა არის, მას ვერ-ვინ დალევს ისე, რომ თავისი მადლობა ფულის მიცემით გამოაცხადოს. არა. იგი ზნეობითს მხარეს დასაჩუქრებისას, სამშობლოის დავალებას უფრო უძვირფასესად და ღირსეულად სთვლის, ვიდრე მანეთებით დაჯილდოებას? მე არ მინდა ის მოგახსენოთ, რომ ბანკის მოსამსახურეთა ტყუილად გვემსახურონ-თქო. არა, ღმერთმა დაგვიცვას ამ რიგ აზრისაგან. ჯილდო მიეცესთ, მაგრამ იმდენი, რამდენიც შეჰფერის ჩვენს შეძლებას. „საცა არ იყოს, ცოტა კმარ-იყოსო“ ნათქვამია. შევამციროთ ის დიდი ჯამაგირები, რომელნიც გამგეობის წევრთ ეძლევათ და სარგებელი კი ისევ ის დარჩესთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლანდელი გამგეობა ფულის ინტერესისათვის არ გვემსახურება.

თავს-მჯდომარე. კაცმა პირ-და-პირობით უნდა ილაპარაკოს. რა საჭიროა მიხვეულ-მოხვეულობა. ყველასთვის ცხადია, რომ რაც უფრო ბევ-

---

დეთო. მარი ბიერმა ველარ შესძლო: საკმაო იყო ერთი წუთი... უბიდამ ამოიღო რევოლვერი და, უეჭველია, უბედური ქალი დავარდებოდა მკვდარი უწყალო საყვარლის ფეხ-ქვეშ, თუ რომ შანტიენს არ დაესწრო რევოლვერის წართმევა და გაქცევა.

— მარის გულთ შემოეყარა, მიხედეთ ჩქარა, უთხრა შანტიენმა მოახლეს.

როგორც მოახლე შევიდა იმასთან, დაინახა, რომ ძირს გდია გულ-შემოყრილი.

— ის სად წავიდა, სად არი? დაიყვირა მარიმ, რაკი გონებაზე მოვიდა,—იმან წამართვა მე პატიოსნება, წამართვა ხმა, რომლითაც თავს ვირჩენდი, წამართვა ღვიძლი შვილი და ეხლა კი მტოვებს, როგორც მაწანწალა გლახას!... მეტი ღონე არ არი, უნდა თავი მოვიკლა!

*
* *

მარი ბიერმა გაიცნო ვექილი, ოდინე, შანტიენის მეგობარი და იმისი საქმეების განმგემელი. ეს კაცი იყო იმათი შუამავალი და მიწერ-მოწერაც ამის ხელით იგზავნებოდა. რობერტი თავს იმართლებდა და ამტყუნებდა მარის; მარი კი ნაღვლიანს და სიყვარულით სავსე წერილებს უგზავნიდა.

მარის უნდოდა დაეწყო სიმღერის სწავლა ყმაწვილებისთვის და იმდენი საზრდო ეშოვა, რომ აღარ აელო ის თავის დასამდაბლებელი მოწყალება, რომელიც იმას ყოველ თვეობით ეძლეოდა. სასწავლებელის გასამართავათ საჭირო იყო ასი თუმანი, ამ ფულის თხოვნაზე შანტიენმა მარის უარი უთხრა, ისიც კმაროდა, რომ, როგორც პატიოსანი კაცი, უარს არ ამბობდა და თვეში ათ თუმანს უგზავნიდა, თუმცა თითონ წელიწადში ჰქონდა სამი ათას თუმნამდის შემოსავალი.

მარისთვის ძალიან საჭიროც არ იყო ეს ფული და თუ სთხოვდა იმიტომ უფრო, რომ შანტიენს მოსვენება არ მისცეს, გააშფოთოს და ამითი გადუხადოს ცოტათი მაინც თავისი ორი წლის ტანჯვა.

შემდეგ შეიტყო ისიც, რომ შანტიენს სხვა საყვარელი უშოვია. უნუგეშოთ დატოვებულმა, მოკლებულმა დედობრივ სიყვარულსა, გამწარებულმა ქალმა ველარ გაუძლო და მიუხტა რობერტს სახლში; მაგრამ იმას იქ მაშინვე კარები მიუჯახეს. მარი ცდილობდა როგორმე მეორე ოთახში შესულიყო, მაგრამ იქაც შანტიენის საყვარელმა ჩაუკეტა კარები. ბიერმა არ იცოდა რომ იმ ოთახში არის იმის მოცილე ქალი და დაუწყო რობერტს ტირილით ხვეწნა:

— მიყვარხარ, რობერტ, ერთი წუთით მაინც დამენახვე!

კარებიდამ აწოდებდა ვაშმაგებულის სიყვარულით დაწერილს ბარათს, მაგრამ სულ ამაო იყო; კარები მაგრათ ჩაკეტილია და ამ საცოდავ დედაკაცისთვის არ არის შებრალება...

ამავე საღამოს მარის მოუვიდა შანტიენის ბარათი. ის მკვახე სიტყვებით აფრთხილებდა, რომ მეორედ ამან აღარ გაბედოს იმისთანა სულელობა. ამასთანავე თითქო განგებ, ატყობინებდა, რომ მაშინ ამას თავისთან საყვარელი ჰყავნდა.

(გაგრძელება)

რია ჯამაგირი, იმდენად უფრო კარგი კაცი იმსახურებს.

აკაკი წერეთელი. მას შემდეგ რაც ბატონმა თავს-მჯდომარემ სთქვა, მე ვალდებული ვარ უკანვე წავიღო ჩემი სიტყვები. უკაცრავად, ბატონებო, რომ მოგახსენეთ ჩვენი არჩეულნი პირები ფულის ინტერესისათვის არ გვემსახურებიან-თქო...

დ. ნაზარიშვილი. მჭევრ მეტყველურის წინა-სიტყვაობის შემდეგ ბანკის მნიშვნელობაზე გადადის იმ სარგებლობაზედ, რომელიც დღეს მოაქვს ბანკს ჩვენთვის და, საიდლამაც არ არის, უალაგოდ და უდროვოდ აცხადებს უხამს აზრს მაგალითად, რომ რაც ბანკს შეძლება აქვს, ის რომ სადმე მივაბაროთ 30,000 მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი გვექნებაო...

ამ სიტყვებმა აალელვა ერთი ნაწილი საზოგადოებისა. თავს-მჯდომარე ვერას არიგებს... ათასი მუქარა მომართულია ნაზარიშვილისკენ, რომელსაც აბრალებენ გაიძვერაობას და ხრიკიანობას. ოციოდე წამის შემდეგ, ცოტათი სიჩუმე მყარდება და თავს-მჯდომარე აცხადებს, ნაზირიშვილმა ბანკის შეძლების გასესხება მხოლოდ მაგალითად მოიყვანა, ნუ სწუხართ, ამით კი არ უნდოდა ბანკის მოსპობის თქმაო...

შემდეგ ნაზარიშვილი გადადის ბანკის მმართველობისათვის ხარჯების შემცირებაზე. ისე უშველებელი ჯამაგირები დაუნიშნეთ ჩვენს ბანკში მოსამსახურეთ, რომ ყველას ჰსურს მათი ადგილის დაკავება. ამის წყალობით საზოგადოებაში შური, გაუტანლობა და უთანხმოება ვარდება. ჩვენ მოგველის დიდი მომავალი, და ამ მომავლის სახელით, მამულის საკეთილდღეოდ, შევამციროთ შეძლების-და-გვარად მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენათა. ვისაც საზოგადო საქმისათვის და სამშობლოსთვის სიკეთე სურს, ის უ-უშველებელ—ჯამაგიროთაც იმსახურებს. ბანკს ჰყავს 5 დამფასებელი. ანგარიშიდამ სჩანს, რომ შარშან დაფასებულა სულ. 120 მამული რა საჭიროა მაშ 5 დამფასებელი, როცა სამ კაცსა კარგათ შეუძლია ამდენი შრომის გაწევა.

კირილე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ შრომა ბანკის მოსამსახურე პირთა შორის არ არის თანახმად განაწილებული. მთელი ჯაფა ბანკის წარმოებისა აწვება საქმეთ-მწარმოებელს, ბუღალტერს და გამგეობის თავსჯდომარეს. მიუცილებელი საჭიროება, შრომის განაწილება, ჯამარის შემცირება, ჩემის აზრით, მარტო თავს-მჯდომარისი შეიძლება 500-მანეთი მაინც. სხვა ხარჯების შემცირება აგენტების გადაყენების გარდა არ შეიძლება. პეტერბურღში თვითონ სავაჭრო სახლმა იკისროს, თბილისში კი აგენტი სრულიად არ არის საჭირო, რადგანაც იქაური აზნაურთა ბანკი უფრო ნაკლები % იძლევა სესხს 27$^1/_2$ წლის ვადით, და რადგანაც ამ ბანკს მოქმედების უფლება მოემატა, ამიტომაც ტფილისელნი ყველა იქ დააგირავებენ მამულს და შეიძლება ჩვენს ბანკში რაც დაუგირავებიათ დღემდე, იგიც გადააგირაონ ტფილისიაში.

მ. ღარსხველიძე. ვინც ამბობს იგივე ჯამაგირი იყოსო, ხელმძღვანელობენ ორი აზრით: პირველი, ეხლა მეტია შემოსავალიო და მეორე ბანკს საქმე ემატებაო. არც ერთი ეს აზრი არ არის საფუძვლიანი. პირველი მისთვის, რომ შეიძლება ბანკმა მოიგოს, შეიძლება წააგოს. ჯერ მოგება-წაგება ჰკიდია იმაზე, თუ მამულები ღირს იმათ, რითაც დაფასებულია. ჩვენ უნდა ველოდეთ უკეთესს, მაგრამ მოლოდინსა და ასრულების შუა დიდი საზღვარია. მაგალითებრ, ხარკოვის ბანკმა დაიწერა ზარალი 183 ათასი მანეთი, რადგანც დაგირავებული მამულები არ გაიყიდა; შემდეგში ეს ჯამი სულ ზარალი არიქნება, მაგრამ მეტ-ნაკლები ზარალი მაინც იქნება. კიდევ მე შემიძლია იმგვარი მაგალითი ვაჩვენო საზოგადოებას, რომ ჩვენს ბანკში დაგირავებული მამულები ოთხი-ხუთი, დღეს თუ ხვალ ვაჭრობით გაიყიდება. იზარალებს ბანკი, თუ მსესხებლები, ანუ შენახული ჯამი სულ ერთია.

მეორე აზრი ამათი არ არის მართალი, რომ თუ ავიღებთ მომრიგებელის მსაჯულის, ანუ ოლქის სასამართლოს წევრთა შრომას და შევამზგავსებთ ჩვენი ბანკის მმართველობის შრომას, მაშინ დავინახავთ, რომ ქალაქის მოსამართლე ჰსწყვეტს დღეში 27-35 საქმემდი და ჩვენი ბანკი კი, ერთი-მეორეზე დღეში არ აძლევს, სულ დიდი რომ ვსთქვათ, სამ სესხზე მეტს.

ამისათვის ჩვენს მოსამსახურე პირებს უნდა მივცეთ ჯამაგირი მათი მუშაობისა და ჩვენის შეძლების გვარად.

ჩემის აზრით, ბანკის მმართველს, რომელსაც დღეს ეძლევა ჯამაგირი 4 ათასი მანეთი და სარგებელი ბანკის წმინდა მოგებიდამ, უნდა შემცირდეს ამგვარად: ჯამაგირს მოეკლოს 500 მანეთი, ისრე რომ კიდევ შეუდგება 4 ათასი მანეთი.

დირექტორების მუშაობა ვიკითხე, მაგრამ, მათი განსაკუთრებით შრომა კაცს არ უთქვამს ჩემთვის. ისინი იღებენ 1,800 მანეთს ჯამაგირს 600-ოდე მანეთს სარგებელს. ვფიქრობ მოეკლოს მათი ჯამაგირიდგან ოთხას-ოთხასი მანეთი და მაინც დარჩებათ კიდევ ორ-ორი ათასი მანეთი. ეს ჯამი სულ არ არის ცოტა. ხუთს და ექვსს ჩემისთანა აზნაურიშვილს ჩვენში არა აქვს შემოსავალი ორი ათასი მანეთი.

დამფასებლებს ჯამაგირი არ მოეკლება, რადგანაც მათს სინიდისზე და შრომაზეა დამოკიდებულია სულ ჩვენი ბანკის მედი. მხოლოდ შენიშვნის ღირსია ერთი საქმე: დამფასებელთ რიცხვში ურევია ნაფიცი ვექილები რომლისათვისაც ორი ბურთის ერთ ხელში დაჭერა ძნელია. იმათ უნდა ინებონ ან ამ ადგილის საკუთრად დაჭერა, ან ეს ადგილები სხვებს დაუთმონ.

კასსირს უნდა მოემატოს 940 მანეთზე კიდევ 60 მანეთი, ისე რომ სულ პროცენტიანათ ეძლეოდეს 1000 მანეთი.

ტფილისის აგენტს, რადგანც ცოტა მუშაობა აქვს, რადგანც პეტერბურღელ აგენტს აქვს მარტო 600 მანეთი, დაენიშნოს ნაცვლად 1.800 მანეთისა 600 მანეთი.

რაიცა შეეხება მას, რომ მოსამსახურე პირებს ჩამოვართოდ ბანკის წესდებით განწესებული სარგებელი, მე ამაზე არა ვარ თანახმა აი რატომ; მაშინ უნდა შეიცვალოს წესდება და მეორე, სარგებლების მიცემა ნიშნავს მათ მუშაობაზე გამხნევებას.

თ. ჯარღამ ერისთავი: ბატონი ღარახველიძე ადვოკატია და ერთი-ორი ლერი სიტყვის თქმისთვის სასამართლოში 300-500 მან. ირთმევა. რა დიდი საქმეა მაშ, რომ ნ. ღოლობერიძეს 4000-5000 მანეთი ეძლევოდეს ამდენი ხნის სამსახურისათვის!? (სიცილი და ტაში).

საზოგადოება კიდევ უკმაყოფილებას აცხადებს, გადავყევით ამდენ ლაპარაკსო, კენჭით გავსწორდეთ, მოიტათ კენჭიო!

თავსმჯდომარე თანხმდება, მაგრამ საზოგადებისავე თხოვნით მეორე დღისთვის გადადებს კენჭის ყრით საქმის გადაწყვეტას.

ნაშუადღევის 3$^1/_2$ საათზე სხდომა გადიდვა.

## ახალი ამბები.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გაუღილ შაბათს წამობრძანებულა პეტერბურღიდამ და როგორც ისმის, ხვალ ან ზეგ თფილისში იქნებაო. აქ დიდმა მთავარმა უნდა ჩააბაროს მთავარ-სამმართებლის საქმეები და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ პეტერბურღში დაბრუნდება, საიდამაც სამზღვარს გარეთ მიბრძანდება მადნის წყლებზე საექიმოთ.

* * *

გაზ. „კავკასიის კურიერი“ გვაცნობებს, რომ მირზოევის მემკვიდრეებს ხუთასი თუმანი შეუწირავთ იმ ყმაწვილების თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ (პრიუტის), რომელიც, მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახსოვრად, იმართება ჩვენს ქალაქში.

* * *

ამბობენ, რომ ტელეგრაფის გამგეობა მეორე კანტორას მართავს ქალაქში დეპეშების გასაგზავნად. ეს კანტორა სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში იქნებაო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლიერ კარგი აზრია, რადგან მიხვეულ-მოხვეულ და ტალახიან ქუჩებში სიარულით, ბუჭყიაშვილის სახლისაკენ, დეპეშის გამგზავნი ხალხი ერთობ შეწუხებული იყო.

* * *

ჩვენი გაზეთის № 87-ში დაბეჭდილი იყო ბ. ვლ. მიქელაძის ვრცელი „წერილი ქუთაისის თავად-აზნაურობისადმი“, რომელშიაც ავტორი ამბობდა, რომ ახლა სხვა დრო დადგა, სხვა გარემოება და მომავალი მოგვეელისო და ამისთანა დროს უფრო ნასწავლი და განვითარებული წინამძღომელი ეჭირება ჩვენს თავად-აზნაურობასაო. ამიტომ ავტორი წინადადებას აძლევდა ქუთაისის ბანკის ახლანდელ კრებას, გარდაწყვიტოს, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლს დაენიშნოს ჯამაგირი, რადგან შეიძლება იმისთანა კაცი ამოირჩიოს თავად-აზნაურთა კრებამ, რომელიც ყველა სხვა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, მაგრამ შეძლება არა ჰქონდეს.

ქუთაისიდამ გვწერენ ეხლა, რომ ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა განიხილა ეს წინადადება და „არ შეიწყნარაო“, ესე იგი საჭიროდ არ დაინახა საზოგადო კრებისათვის წარედგინა ის მოსალაპარაკებლად. ნეტა ვიცოდეთ—რატომ?

* * *

უკანასკნელს (პარასკევის) კრებაზე ქალაქის რჩევამ გარდაწყვიტა ცალკე კამისია დაინიშნოს ხორცის ტაქსის დანიშვნაზედ და საზოგადოთ ქალაქის სიძვირის მიზეზების გამოსაკვლევლად და ამ სიძვირის შესამცირებლად. ამ კომისიაში ამორჩეულნი არიან: ივ. პოლტარაცკი, ექ. ვართანოვი, მ. სპიროვი, თ. ა. ჩოლაყაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ექ. როტინიანცი, თ. ხოჯამინასოვი და ექ. ლისიცევი.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ ახალ-სენაკშიაც გაიმართა ქართული წარმოდგენები; ისიც მოყვანილი იყო, რომ ამ წარმოდგენებიდამ შემოსული ფული რაიმე კეთილ მიზნისთვის უნდა გადადებულიყო.

სცენის მოყვარეებმა ჯერ კიდევ წარმოდგენებამდის გარდაწყვიტეს, რომ ხარჯს გადადებული ფული გაიყოს ორ ნაწილათ: ერთი ნაწილი გაეგზავნოს ერთ ღარიბ სტუდენტს-მეგრელს, მეორე მიეცეს ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებელს ბიბლიოთეკისათვის.

როგორც თქვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, ორის წარმოდგენიდგან ნაღდი ფული დარჩა 200 მანეთი, თუ ცოტა მეტი.

გვეგონა, რომ ეს ფულები გარდაწყვეტილებისა-მებრ იქნებიან განაწილებულნი; გვეგონა, რომ ამ განაწილების ანგარიშიც „დროების“ რედაქციაში იქნებოდა წარდგენილი დასაბეჭდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, აგერ ორ თვეზე მეტი გადის და არც განაწილების ისმის რამე და არც ანგარიში იბეჭდება; ჯერ არც სკოლას მიუღია კაპეიკი და არც ის იცის

ვინმემ: გაეგზავნა ღარიბ სტუდენტს ფულები თუ არა.

ამისათვის გასაკვირველიც არ არის, რომ საზოგადოებაში ცუდი ხმებია დაყრილი: ამბობენ, რომ ფულები მოთავეებმა „შეკვრიხესო.“ ჩვენ არა გვჯერა ეს ხმები; მით უფრო არა გვჯერა, რომ თვით ერთმა მოთავეთაგანმა, ბ. ახვლედიანმა, გააგრძელა „დროების“ 43 ნომერში, სტატია, რო ახალ-სენაკი არ ჩამორჩა სხვა ქალაქებს საქველ-მოქმედო საქმეებშიო; რაც წარმოდგენიდგან ფულები დარჩა, ზოგი ღარიბ სტუდენტს უნდა გაუგზავნონო და ზოგი აქაურს სკოლას უნდა შევსწიროთო. მეორე მოთავეზე ქალბატონს ბ. ბებურიშვილისაზე კიდევ უფრო ნაკლები ეჭვი გვაქვს.

იმედია, რომ აღნიშნულნი მოთავენი, ცუდი ხმების გასაქარწყლებლათ, პასუხს მოგვცემენ ამ ჩვენს კითხვაზე:—რა იქნა ის 200 მანეთი, რომელიც მათ ქონდათ ჩაბარებული, და რატომ ანგარიში არ იბეჭდება „დროებაში“ ან „კავკაზში“? თუ ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი ვერ მივიღეთ, მაშინ იძულებულნი ვიქმნებით ბანი უთხრათ საზოგადოებაში გავრცელებულ ხმებს.

ერთი სცენის მოყვარეთაგანი.

ახალ-სენაკი, 23 აპრ.

# განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა მაისის 1 რიცხვიდამ დაიწყება იმ მაწანწალა ძაღლების ხოცვა ქუჩებში, რომლებსაც რკინის ან ტყავის საყელო არ ექნებათ. ეს ცხადდება ყველა ძაღლის პატრონების გასაფრთხილებლად. (3—1)

გასაქირავებელი სადგომი

სამი და ორი ოთახი ცალ-ცალკე ანუ ერთად, თავის კუხნით და ყველა მოწყობილობით.

გოლოვინის პროსპექტზე, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ, მირზოევის სახლებში.

მსურველს შეუძლია იქვე იკითხოს. (5—1)

თბილისში არსდება გიმნასტიური ამხანაგობა, რომლის მიზანი იქნება მისცეს თავის წევრებს გიმნასტიური, ხრმლისა და თოფის სროლის ვარჯიშობისა ქალაქს გარეთ სეირნობისა და სხვა რიგი დროების გატარების საშუალება, რომელნიც ძალას და ღონეს უმაგრებს ადამიანს.

ამ ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან და დაბეჭდილია გაზეთი „კავკაზის“ მე-90 №-ში.

წლიური შემოსატანი ფული ათი მანეთი, რომელთაც ჰსურთ თბილისის გიმნასტიურ ამხანაგობის წევრად ჩაწერა, შეუძლიანთ შემოიტანონ:

1) ვ. ა. დინგელშტეტთან, თამამშოვის სახლები ბაზრისა და ბარონის ქუჩების კუთხეზედ ყოველ დღეს სალამოს 6 საათიდამ 8 საათამდინ.

2) ჟ. კ. კესტერთან, მთავარ სამართველოს დეპარტამენტში ყოველ დღე ნაშუადღევის 11 საათ. 3—მდე.

3) ა. ა. ბრუნსთან მიხაილოვის ქუჩაზედ რუსულ მაღაზიაში.

4) გაზეთი „კავკაზის“ რედაქციაში ბარიატინსკის ქუჩაზედ, ყოველ დღე ნაშუადღევის 10 საათ.—2—მდე. (3—2)

ქუთაისში მაისის პირველიდამ

გრ. მირიანოვისა და კამპანიისაგან

გაიხსნა ახალი სასტუმრო

## ლივადია

ხაზაროვის კლუბის შენობაში. სასტუმროს ჩინებულად მოწყობილი ნომრები აქვს კორრიდორებით. ნომრების ფასი 75 კაპეიკიდამ 2 მან. 50 კაპეიკამდეა.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება სრული კმაყოფილი დარჩება ჩვენი სასტუმროსი. (5—3)

უნივერსიტეტის სტუდენტს

ჰსურს ზაფხულის განმავლობაში აძლიოს გაკვეთილები გიმნაზიის კურსიდამ. თანახმაა სოფელშიაც წავიდეს.

მსურველს შეუძლიან „დროების“ რედაქციას მიმართოს. (5—4)

სუფრის მოწყობილობა, სასუფეები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად ინგლისის მაღაზიაში. (10—10)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. მრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ჰი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საავგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—55

დასუიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3ს მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შიკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი. ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—10)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჰიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—57)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-
ყვანი



მაკ-მას-
ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—65)

10 მაისს ამ 1881 წელსა, დილის ათ საათზედ, გაიხსნება ქ. გორში, გორის უეზდის თავადთ-აზნაურთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) ამოირჩიოს რამდენიმე პირნი წევრათ უეზდის კომიტეტის შესადგენათ, რომელიც წესდება მთავრობის განკარგულებით, რათა მოიყვანოს სრულ ცნობაში: გორის უეზდის თავად-აზნაურებისაგან პრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულების მდგომარეობა; მამულების პატრონების შეძლების მდგომარეობა და აგრეთვე მოიყვანოს ცნობაში-თუ რაოდენათ შეუძლიან დაგირავებულ მამულს ახდენა პრიკაზის ვალისა და

2) მოიპოვოს ღონის-მიება, რომლითაც შეიძლოს კომიტეტმა მინდობილი საქმეების შესრულება.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ გორის უეზდის თავადაზნაურობას, რომლებსაც აქვთ პრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულები, მობრძანდნენ კრებაში დანიშნულს ვადაზედ.

გორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლი თ. ა. ამილახვარი (3—3)

სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა. ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ყმაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ პლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებლ-ყმაწილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10—8)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას იგარები. (100—58)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Маія 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.